

საქართველო კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

სს „სილქნეტის“ 2019 წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის“, როგორც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირის 2019 წლის ანგარიშს:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორის N01/12 ბრძანებით სს „სილქნეტში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის დებულება;

2. 2019 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შემოსულა საჩივარი სს „სილქნეტის“ მიერ „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევის თაობაზე;

3. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა;

4. 2019 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ღონისძიებები კომპანიის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

5. კომპანია ტელემაუწყებლობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

6. კომპანიის დაფინანსების წყაროს (მაუწყებლობის სფეროში) წარმოადგენს კომპანიის სამაუწყებლო არხების რეტრანსლირების მიზნით მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისგან გადახდილი საზღაური და შემოსავლები რეკლამიდან, სპონსორობიდან და Product Placement-იდან;

7. ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, მომზადებული „KPMG Georgia LLC“-ის მიერ.